ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4087068

ნომერი: AR1613983

თარიღი : 05.07.2018

გაცემის თარიღი : 25.07.2018

გაცნობის თარიღი : 25.07.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თაქთაქიშვილი , N 12 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა თაქთაქიშვილი , N N12 ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ვაშაკიძე პ/ნ 01010004561
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 179 კორ. 1 ბ. 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი საკითხი,რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი –ვაკე, ქუჩა თაქთაქიშვილი , N 12 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა თაქთაქიშვილი , N12 ა-ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N 017/026), ღია კაფის მოსაწყობად საკადასტრო საზღვრების ფარგლებში (ხის პადონებით)პოდიუმის მოეწყობისა და საყვავილე ქოთნების განთავსების უფლებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები _ თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – რეგ. N 882016001080 საკადასტრო კოდი N 01.14.11.017.026; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი, სიტუაციური გენ-გეგმა, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი –ვაკე, ქუჩა თაქთაქიშვილი , N 12 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა თაქთაქიშვილი , N12 ა-ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N017/026), ღია კაფის მოსაწყობად საკადასტრო საზღვრების ფარგლებში (ხის პადონებით)პოდიუმის მოეწყობისა და საყვავილე ქოთნების განთავსების შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.